

ბავშვთა ნევროლოგიის დეპარტამენტის აკადემიური მოსწრების შეფასების
კრიტერიუმები

მედიცინის ფაკულტეტი VI კურსი XI – XII სემესტრი

სტუდენტთა შეფასების სისტემა შედგება 4 კომპონენტისგან და ეყრდნობა ევროპული სისტემის (EFTM) ტრანსფერის და კრედიტების დაგროვების 100 ქულიან სისტემას.

სტუდენტთა ცოდნა ფასდება სასწავლო კურსის კომპონენტებით. საბოლოო შეფასება ხდება ცალკეული კომპონენტების ქულათა შეჯამებით.

1. პირველი კომპონენტი დასწრება მაქსიმალური შეფასება 4 ქულა, თითო დღის დასწრების ქულა არის 0,5.

2. მეორე კომპონენტი ყოველდღიური აქტივობა მაქსიმალური შეფასება 24 ქულა

კადემიური აქტიურობა ითვალისწინებს გამოკითხვას სასწავლო კურსის განმავლობაში, გარდა პირველი და ჩათვლის დღისა; რაც შეადგენს 6 დღეს, ანუ თითოეული დღე შეფასდება მაქსიმალურად 4 ქულით. ხოლო გამოკითხვის შედეგი შეფასდება შემდეგნაირად:

4 ქულა: საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და ლაკონურად. ტერმინოლოგია გამართულია, ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა.

3 ქულა: კარგად ფლობს საკითხს, პასუხი სრულია, მაგრამ არათანმიმდევრული, ტერმინოლოგიურად ნაწილობრივ გამართულია, არსებითი შეცდომა არ არის. ჩანს ძირითადი ლიტერატურის ფლობა. უჭირს დასკვნების გაკეთება.

2 ქულა: პასუხი ზოგადი ხასიათისაა, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, შინაარსობრივი თანმიმდევრობა დარღვეულია. არ ჩანს ლიტერატურის სათანადო ფლობა.

1 ქულა: პასუხი არადამაკმაყოფილებელია, ვერ ფლობს ტერმინოლოგიას, პასუხი არსებითად მცდარია. გადმოსცემს საკითხის შესაბამისი მასალის მხოლოდ ცალკეულ ფრაგმენტებს, არ იცნობს ლიტერატურას.

0 ქულა: საერთოდ ვერ ავლენს საკითხის გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

3. მესამე კომპონენტი კლინიკაში მუშაობა 12 ქულა, რაც მოიცავს:

- ისტორიის შევსება 4 ქულა, (4 - სტუდენტის მიერ წარმოდგენილი ისტორია შევსებულია არსებული მოთხოვნების შესაბამისად, 3 - სტუდენტი ისტორიის შევსებისას უშვებს უმნიშვნელო შეცდომებს, 2 - ისტორიაში დაშვებულია მნიშვნელოვანი შეცდომები, 1 - ისტორია არ არის სრულად შევსებული, 0 -სტუდენტს ისტორია არ აქვს შევსებული).

- ავადმყოფის კლინიკური ნევროლოგიური გასინჯვის ჩვენებების გამომუშავება-8 ქულა (8 - სტუდენტი სწორად ასრულებს მიცემულ დავალებას და შეუძლია მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია, 6 - სტუდენტს პაციენტის გასინჯვისას სჭირდება სიტყვიერი მითითება, შეუძლია მიღებული შედეგების ინტერპრეტაცია მცირე ხარვეზებით, 4- სტუდენტს სჭირდება პედაგოგის აქტიური დახმარება, შედეგების ინტერპრეტაციას აკეთებს მცირე ხარვეზებით, 2 - სტუდენტს სჭირდება პედაგოგის აქტიური დახმარება, მიღებულ შედეგებს თეორიულ ცოდნას ვერ უკავშირებს, 0 - სტუდენტი ვერ ასრულებს დავალებას).

4. მეოთხე კომპონენტი_ ჩათვლა ტესტური,20 ტესტი_ მაქსიმალური შეფასება 20 ქულა (1ტესტი_ 1 ქულა)

ოთხკომპონენტური სისტემის შუალედური მაქსიმალური შეფასება _60 ქულა

მაქსიმალური შეფასება ინტეგრირებული გამოცდის _40 ქულა, მინიმალური შეფასება გამოცდის ჩაბარების _24 ქულა.

მაქსიმალური საბოლოო შეფასება 100 ქულა.

შეფასების სისტემას აქვს 5 დადებითი შეფასება:

(A) ფერიადი _91% მაქსიმალური შეფასების

(B) ძალიან კარგი 81-90% მაქსიმალური შეფასების

(B) კარგი _ 71-80% მაქსიმალური შეფასების

(D) დამაკმაყოფილებელი _ 61-70% მაქსიმალური შეფასების

(E) დაკმაყოფილებელი _ 51-60% მაქსიმალური შეფასების.

(FX) კურსი არ არის ჩაბარებული _ 41-50% მაქსიმალური შეფასების, რომელიც არის მაჩვენებელი სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის აუცილებლობის და აძლევს უფლებას გამოცდის განმეორებითი ჩაბარების (არა უადრეს 10 დღისა)

(F) ჩაიჭრა _ 40% და ნაკლები მაქსიმალური შეფასების, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტმა სასწავლო კურსი თავიდან უნდა გაიაროს.

